

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №42

მცხეთა 19 დეკემბერი 2006 წ.

მცხეთის მუნიციპალიტეტის საზღვრების შეცვლისა და ქ. თბილისთან მცხეთის მუნიციპალიტეტის საზღვრების გამიჯვნის თაობაზე

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ შემოსულია ქ. თბილისის მერიის მომართვა (№06-1/1048 15.12.06წ.) და ქალაქ თბილისის საზღვრების დამდგენი კომისიის სხდომის ოქმი (23.10.06წ.) რომლითაც, ითხოვენ ქ. თბილისის ურბანული განვითარებისათვის შედგენილი გეგმის შესაბამისად, მცხეთის მუნიციპალიტეტის ცალკეული სოფლების ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცევასთან დაკავშირებით, მცხეთის მუნიციპალიტეტის ახალი საზღვრების დამტკიცებას. ამასთან ერთად, არსებობს მცხეთის მუნიციპალიტეტის ცალკეული სოფლების მოსახლეობის თხოვნა, მათი ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცევის თაობაზე.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად,

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს :

1. დაკმაყოფილდეს ქ. თბილისის მერიის მომართვა და დამტკიცდეს ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების სამსახურის მიერ მომზადებული ქ. თბილისის საზღვრების პროექტი.

2. გამონაკლისს შეადგენს და ზემოაღნიშნული გადაცემა არ ვრცელდება მოცემულ ტერიტორიებში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების იმ მიწებზე, რომლებზეც დღეის მდგომარეობით მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ (2006 წლის 12 სექტემბრის №412, 19 სექტემბრის №416, 27 ნოემბრის №20, 15 დეკემბრის №34 №35 №36 №37 №38 №39 და 19 დეკემბრის №40 დადგენილებებით) უკვე გამოცხადებულია აუქციონი, ან ხდება მათი სხვაგვარი განკარგვა, თანახმად „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის წესისა“ და მათი განკარგვა კვლავ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის უფლებამოსილებაში რჩება.

3. ეთხოვოს საქართველოს მთავრობას განიხილოს მცხეთის მუნიციპალიტეტის და ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრების ცვლილების საკითხი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

4. დადგენილების შესრულების კონტროლი დაევალოს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე:



კახაბერ მელაძე